

უნივერსიტეტების „მესამე მისია“ საქართველოში: არსებული პრაქტიკა  
და შესაძლებლობები

მარი რუაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების  
ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება  
უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი რუამე

31.01.2021

## აბსტრაქტი

უნივერსიტეტისადმი გაზრდილი მოლოდინები, წვილი შეიტანოს საზოგადოებაში არსებულ კომპლექსურ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში და თავისი ტრადიციული ორი მისიის (სწავლება და კვლევა) გარდა შეასრულოს “მესამე მისიაც”, სულ უფრო აქტიური განხილვის საგანი ხდება და მეტ პოლიტიკურ ფორმალიზებას იძენს სხვადასხვა ქვეყანაში.

წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს შეაფასოს უნივერსიტეტების მესამე მისია საქართველოში. ნაშრომის მიზანია სამაგიდო კვლევის ფარგლებში განიხილოს ის პოლიტიკის დოკუმენტები (საერთაშორისო და ადგილობრივი), რომელიც დეკლარირებულად აქცენტს აჩენს საქართველოში უნივერსიტეტების მესამე მისიაზე. თვისებრივი კვლევის ფარგლებში კი სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით განათლების პოლიტიკის შემუშავებლებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებთან და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად შეაფასოს რა არის დღეს საქართველოში უნივერსიტეტების მესამე მისია და რა ადგილი უჭირავს მას საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავებისას, ხოლო არსებული პრაქტიკისა და სოციო-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით, რა შესაძლებლობები არსებობს მისი ინსტიტუციონალიზაციის კუთხით.

ნაშრომის თეორიული ჩარჩოს წარმოადგენს პროექტ - *უნივერსიტეტის მესამე მისიის შეფასების ევროპული ინდიკატორები და მეთოდოლოგია*, რომელიც მესამე მისიის კლასიფიკაციას სამ კატეგორიაში ახდენს: განგრძობითი განათლება, ტექნოლოგიური ტრანსფერი და ინოვაცია, სოციალური ჩართულობა.

კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში უნივერსიტეტის მესამე მისიის პოლიტიკური ფორმალიზება არ მიმდინარეობს, თუმცა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და განახლებული ინსტიტუციონალური შეფასების ფარგლებში

აქცენტი კეთდება მის ცალკეულ განზომილებებზე. არსებული ტენდენციით: უნივერსიტეტები მეტად ჩართულნი არიან განგრძობითი განათლების სერვისების შეთავაზებაში, ყველაზე რთულად ტექნოლოგიური ტრასნფერისა და ინოვაციის. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ნაკლებად უნივერსიტეტები საკუთარ ინსტიტუციურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს სოციალურ ჩართულობაში ავლენენ.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტის მესამე მისია; მესამე მისიის აქტივობები; მესამე მისიის პოლიტიკა

## **Abstract**

High expectations towards universities to take a part in solving complex social and economic problems, and along with the two missions (teaching and research) to do the third mission, is becoming a more discussed and political topic in many countries.

This work is one of the first attempts to assess universities' third mission in Georgia. The work aims to discuss (international and local) political documents that declare accents on universities' third mission in Georgia. Within the frames of qualitative research relying on in-depth interviews with higher education policy makers, higher education authorization experts and representatives of university, it assesses the place of the third mission in the higher education system, its role in the process of creating university policy, and the possibilities of its institutionalization taking into account existing practices and socio-economic conditions.

The theoretical framework of the work is a project - European Indicators and Ranking Methodology for University Third Mission - that classifies three categories of the third mission: continuing education, technology transfer and innovation, social engagement.

The research demonstrated that the political formalization of universities' third mission is not happening, but different international treaties and updated institutional assessments focus on its dimensions. With current tendency: universities are mostly involved in offering the continuing education services, the hardest part to be involved is technology transfer and innovation. It is noteworthy that universities demonstrate their institutional and intellectual abilities the least in social engagement.

**Keywords:** third mission of university; third mission activities; policy towards third mission

## მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, თამარ ბრეგვაძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, ჩემს პროფესიულ განვითარებაში სამაგისტრო სწავლების მანძილზე.

მადლობას ვუხდით კვლევის მონაწილეებს, მოტივაციისა და თანამშრომლობის მაღალი მზაობის გამოჩენისთვის: პოლიტიკის შემმუშავებლებს, უმაღლესი განათლების ექსპერტებსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოში უმაღლესი განათლების სივრცეში განხორციელებულ რეფორმებში.

აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, რომლებიც მხარში მედგნენ ამ დროის განმავლობაში.